გეოლოგიური ექსპერტიზა

შპს არქიტექტურა და ექსპერტიზა



ტელ: 599 18 57 57

ქ. თბილისი 2021 წ.

გეოლოგიის შეფასება

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №151, საკადასტრო კოდით - 01.72.14.013.896 არსებულ მიწის ნაკვეთის ფართზე ავტოსამრეცხაო კომპლექსის მშენებლობისათვის ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება.

შინაარსი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №151, საკადასტრო კოდით - 01.72.14.013.896 დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა არსებულ მიწის ნაკვეთზე გამოკვლეული და შესწავლილი გეოლოგიური ნაწილის შესაფასებლად. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოცემული ლაბორატორიული კვლევის შედეგების სისწორე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხდვით არსებულ მისამართზე უნდა მოხდეს ავტოსამრეცხაო კომპლექსის მშენებლობა.

გეოლოგიური ნაწილის კვლევა

აღნიშნულ მოედანზე უნდა მოხდეს ავტოსამრეცხაო კომპლექსის მშენებლობა. ნაგებობის ტიპი კარკასული შენობაა. საძირკვლის ტიპი დადგინდება გეოლოგიური კვლევვების საფუძველზე.

უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დეტალურად ვდათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის, ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების დასადგენად და ნიმუშების ასაღებად გაყვანილია 5 სამთო გამონამუშევარი (შურფი), საერთო სიღრმით 20,0 მ. კონვერტისებული შურფების გაყვანა ჩატარებულ იქნა ჰიდრავლიკური ექსკავატორის JCB-ის გამოყენებით.

საკვლვი ტერიტორიის სახელმწიფო რეგისტრაციის საკადასტრო კოდია 01.72.14.013.896, ხოლო სამშენებლო მოედნის ცენტრის კოორდინატები (WGS-84) ადგილმდებარეობის განსაზღვრის გლობალური სისტემით (GPS) შემდეგია - X=481010.00 და Y=4627022.00 აბსოლუტური სიმაღლეებით 431 მეტრის ფარგლებში.

ტერიტორიაზე მოხვედრა, წლის ყველა დროს, უპრობლემოდ და ნებისმიერი სახის ავტოტრანსპორტით შესაძლებელია მოხვედრა, როგორც დავით აღმაშენებლის ხეივნიდან, ასევე დიდი დიღმის საგზაო სისტემების გამოყენებით

საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს.

ჰაერის საშუალი წლიური ტემპერატურა - +12.3°C

ჰაერის აბსოლოტური მინიმალური ტემპერატურა _ -23°C

ჰაერის აბსოლოტური მაქსიმალური ტემპერატურა - +40°C

ჰაერი შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში) – 66%

ნალექების რაოდენობა წელიწადში - 560 მმ

ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი – 147 მმ

თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა

თოვლის საფარის დღეთარიცხვი - 15

ქარის ნორმატიული მნიშვნელობები: 5 წელიწადში ერთხელ– 0.38კპა,

15 წელიწადში ერთხელ 0.60 კპა.

ქარის მახასიათებლები, ქარის უდიდესი სიჩქარე:

წელიწადში ერთხელ – 21მ/წმ;

5 წელიწადში ერთხელ – 26მ/წმ;

10 წელიწადში ერთხელ - 29 მ/წმ,

15 წელიწადში ერთხელ – 30 მ/წმ;

20 წელიწადში ერთხელ – 31 მ/წმ.

ზედაპირული წყლების მუდმივი წყალსადინარი უშუალოდ გამოკვლეულ ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა. ნაკვეთის ფარგლებში ზედაპირული წყლები მხოლოდ ფრონტალური წვიმების ან უფრო იშვიათად თოვლის დნობის დროს ყალიბდება დროებითი ნაკადების სახით და მაშინვე ხდება ატმოსფერული ნალექების უმეტესი ნაწილის უშუალო ინფილტრაცია ტერიტორიის ამგებელ გრუნტებში, ხოლო დარჩენილ ნაკადებს გამოკვეთილი სადინარი არ გააჩნიათ და ფართობულ ხასიათს ატარებენ.

უშუალოდ ნაკვეთების ფარგლებში, დროებითი ნაკადების მიერ გამოწვეული ფართობული ან ხაზობრივი ეროზიის რაიმე სახის კვალი არ აღინიშნება. შესაბამისად ნაკვეთის ზედაპირს დატბორვა ან ფართომასშტაბიანი ეროზიული მორეცხვა არ ემუქრება.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლეული ტერიტორია მდებარეობს მსხვილი ოროგრაფიული ერთეულის - თბილისის ქვაბულის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ.მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და მოიცავს საკუთრივ დიღმის ველის აკუმულაციურ-ტერასირებული ზედაპირის სამხრეთ კიდეს, დიღმის და მუხათგვერდის სერებს შორის.

აქ თრიალეთის ქედის ჩრდილოეთი განშტოებების უკიდურეს დაბოლოებებზე და მდ. მტკვრის ხეობის საზღვარზე ჩამოყალიბდა ფართოდ გაშლილი დიღმის დიდი ეროზიული ჩადაბლება დანაწევრებული მდ.წორწორაანთ ხევით, მისივე შენაკადებით და მათზე უფრო წვრილი წყალსადინარებით. ზედა მეოთხეულ ასაკში, დიდი დიღმის ველების დასავლეთ ნაწილებში დაილექა დელუვიურ-პროლუვიური თიხნაროვანი გრუნტების საკმაოდ მძლავრი წყება. ამავდეოულად ამ ველების აღმოსავლეთ ნაწილში ილექებოდა მდ. მტკვრის მე-II ტერასული საფეხურის ალუვიური წარმონაქმნები. რელიეფის განვითარების შემდგომ ეტაპზე დაიწყო ზევით აღნიშნული ზედაპირის ცვლადი სიჩქარით დანაწევრება, რომელიც გრძელდება დღემდე. რელიეფი ეროზიულ-აკუმულაციურია, ზედნადები ანტროპოგენული ფორმებით. ყველა მათგანი გამოკვეთილია ფართოდ და მასშტაბურად. ნაკვეთის პირვანდელი ბუნებრივი იერსახე და მის გარშემო მდებარე ტერიტორია მთლიანად შეცვლილია ანთროპოგენული რელიეფის ფორმებით. აქ ზედაპირი, ათეული წლების განმავლობაში, სრულად იყო ათვისებული სასოფლოსამეურნეო წარმოებაში, რომელიც დღეისათვის უკვე ქალაქის ფარგლებშია. მთლიანობაში ასათვისებლად განკუთვნილ ნაკვეთზე და მის მიმდებარედ თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების მიერ რელიეფის ფორმების ფართომასშტაბიანი შეცვლა ან ახლების ჩამოყალიბება არ აღინიშნება, უბანი გამოირჩევა მდგრადობის საკმარისი ხარისხით.

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (ე. გამყრელიძე 2000წ.) საკვლევი ტერიტორია მოქცეულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთი ზონის უკიდურეს ჩრდილო პერიფერიაზე და მიეკუთვნება დიღომისართიჭალის ქვეზონას. იგი ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია ამიერკავკასიის მთათაშუა არის ქართლის მოლასური ქვეზონით. ამ ორ ზონას შორის საზღვარს წარმოადგენს მცხეთა-მამკოდა-ნორიო-ხაშმის მსხვილი ნაწევი. ნაწევის სიბრტყის დაქანება ჩრდილოურია, დახრის კუთხე 60-700. ამ ნაწევის სამხრეთით აღინიშნება ნაოჭა სტრუქტურების მთელი სერია, სინკლინორიუმები, ბრაქი ანტიკლინებითა და ანტიკლინორიუმები, ბრაქი სინკლინებით. ქ.თბილისის ქვაბულის და საკუთრივ დიდი დიღმის ფარგლებში, მთავარ ტექტონიკურ ერთეულს წარმოადგენს თითქმის განედურად მიმართული დიღმის სინკლინური ნაოჭი, რომელიც გეოლოგიურად აგებულია ქვედა მიოცენის – ე.წ ,,საყარაულოს ჰორიზონტის'' (N11sc) ნალექებით. საკვლევი ტერიტორია მდებარეობს სიკლინის ღერძულ ნაწილთან ძლიერ ახლოს, სადაც ეს შრეებრივი ქანები თითქმის ჰორიზონტულია. ნაკვეთის ფარგლებში აღნიშნული ნალექები ზედაპირზე არ გამოდიან და მთლიანად გადაფარული არიან მეოთხეული ასაკის დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის ნალექების საკმაოდ მძლავრი წყებით.

საკვლევ ტერიტორიაზე და მთლიანად დიღმის ველზე ძირითადი ქანები გადაფარულია ზედა მეოთხეული ასაკის დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის (dpQ3) საფარი წარმონაქმნებით, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილნი არიან მოყვითალო ფერის სუსტად ტენიანი, თიხა-თიხნაროვანი და ქვიშნაროვანი გრუნტებით, წვრილი ღორღის და ხვინჭის ჩანართებით, რომლებიც თავის მხრივ ზედაპირზე გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის თანამედროვე ტექნოგენური (ნაყარი) გრუნტებით (tQIV).

საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით (სამშენებლო ნორმების და წესები - "სეისმომედეგი მშენებლობა" პნ 01.01-09)- ქ.თბილისი მოქცეულია (MSK64) 8 ბალიან სეისმურ ზონაში, ხოლო სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი (A) - 0.17 შეადგენს.

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიძე1970წ) მოქცეულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის, თბილისის წყალწნევიანი სისტემის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების ჰიდროგეოლოგიურ რაიონში.

საკვლევ უბანზე და მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში გამოიყოფა ორი ძირითადი ჰიდროგეოლოგიური ერთეული:

- შუა და ზედა ოლიგოცენის და ნეოგენური ასაკის ვულკანოგენური დანალექი ქანების წყალშემცველი კომპლექსი;

- მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექების წყალშემცველი კომპლექსი.

ქვემოთ ვიძლევით ამ კომპლექსის დახასითებას ცალ-ცალკე:

შუა და ზედა ოლიგოცენისა და ნეოგენური ასაკის წარმონაქმნებში გრუნტის წყლები ძირითადად ნაპრალოვანი ტიპისაა. მათი ცირკულაციის სიღრმე დამოკიდებულია ძირითად ქანებში განვითარებული ნაპრალთა სისტემის სიღრმეზე და ხარისხზე. ნაპრალოვანი გრუნტის წყლების მინერალიზაცია მერყეობს 2,5 დან 8,2 გ/ლ. ყველა წყალი თითქმის სულფატურია, კათიონებიდან მონაწილეობას იღებენ Ca და Mg, იშვიათად Na. მინერალიზაციის პროცენტის მომატებასთან ერთად ფიქსირდება ნატრიუმის იონების ზრდა. ნალექები მცირე წყალშემცველობით ხასიათდებიან და წყლების ცირკულაცია ძირითადად ხდება ღრმა ნაპრალთა სისტემაში, აქედან გამომდინარე ვეყრდნობით ადრეულ წლებში გაყვანილ ჭაბურღილებში გახსნილი წყლის ჰორიზონტიდან აღებული სინჯების ლაბორატორიულ მონაცემებს.

წყლები ძირითადად სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანი, ქლორიდულნატრიუმიან-კალციუმიანია. ნაპრალოვანი გრუნტის წყლების საერთო მინერალიზაცია მერყეობს 2-დან 5 გრ/ლ-მდე. თითქმის ყველა წყლები შეიცავენ გოგირწყალბადს, რომლებიც ცალკეულ ჭაბურღილებში 15 მგ/ლიტრამდე აღწევს. ზოგ ჭაბურღილებში აღინიშნება მეთანის აირების (CH_4) გამოყოფა.

სარეკოგნოსცირო მარშრუტების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების მიერ ჩამოყალიბებული ან გართულებული რელიეფის ფორმები არ აღინიშნება. ტერიტორია გამოირჩევა მდგრადობის საკმარისი ხარისხით. საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ტერიტორია მთლიანობაში საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ. და წ. 1.02.07.87-ის მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება I (მარტივი სირთულის) კატეგორიას. საველე და ლაბორატორილი კვლევების საფუძველზე საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყო გრუნტების ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე), რომელიც გრაფიკულად წარმოდგენილია გრძივ და განივ საინჟინრო-გეოლოგიურ ჭრილებზე.

ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია მეოთხეული ასაკის დეუვიურპროლუვიური (dpQIV) გენეზისი ნალექებით, რომლებიც ზედაპირზე გადაფარული ცვალებადი სიმძლავრის ტექნოგენური გრუნტით (tQIV).

სავალე მასალების, ლაბორატორიული კვლევების და საფონდო მონაცემების განზოგადებით საკვლევ უბანზე გამოიყოფა ორი ფენა – ფენა #1- ტექნოგენური გრუნტი - tQIV, ფენა #2- ძნელპალსტიკური თიხნარი-dpQIV, რომელთა დახასიათებაც მოცემულია ქვემოთ:

ფენა #-1 კენჭოვანი გრუნტი, ქვიშის შემავსებლით (ნაყარი), ტექნოგენური გრუნტი – tQIV. ზედაპირიდან პირველი შრეა ჭრილში, რომლითაც აგებულია გამოკვლეული უაბნის ზედაპირი და გვერდულები პრაქტიკულად მთელ სიგრძეზე.

ლითოლოგიურად ნაყარი გრუნტი წარმოდგენილია ღორღის, ხვინჭის, ხრეშის და ქვიშოვანი შემავსებლით. ყრილის ფენის სიმძლავრე ნაკვეთის ზედაპირზე საშუალოდ შეადგენს 0 – 0.90 მეტრს.

ზდაპირის ამგები, ტექნოგენური გრუნტი სხვადასხვა შეფერილობისაა - მუქი ნაცრისფრი, მოშავო, ყავისფერი, ან ამ ფერებში აჭრელებული. იგი გამოირჩევა ცვლადი ტენიანობით, მაგრამ უმეტესად მცირედ ტენიანია.

როგორც საველე, ისე ლაბორატორიულ პირობებში განისაზღვრა ტექნოგენური გრუნტის სიმკვრივე და გრანულომეტრიული შედგენილობა, შურფებიდან ამოღებული ზვინული სინჯების მიხედვით. ფენის საშუალო სიმკვრივემ შეადგინა ρ=2.0 გრ/მ

ფენა-#2-თიხნარი ძნელპლასტიკური (dpQIV), მოყვითალო და მოყვითალო ღია ყავისფერი ზედაპირიდან იგი მეორე შრეა და გახსნილია ყველა სამთო გამონამუშევარით 0,90 მ-დან 4,0 მ-მდე. თიხნარი მოყვითალო და მოყვითალო ღია ყავისფერია, შემკვრივებული, ერთგვაროვანი, მთლიანობაში სუსტად ტენიანი, მაგრამ ყოველთვის მყარი, 4.5 მ-მდე სხვადასხვა შეფერილობის წვრილი ჩანართებით 5-10 %-ის ფარგლებში.

ს.ნ. და წ. 2.02.01-83 პუნქტი 2.16-ის თანახმად II და III კლასის ნაგებობის ფუძესაძირკველების გაანგარიშებისათვის დასაშვებია გრუნტის სიმტკიცითი და დეფორმაციული მახასიათებლის ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების განსაზღვრა მათი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით:

➢ შინაგანი ხახუნის კუთხე □=25 0;

➢ შეჭიდულობა C=0.13 კგძ/სმ2;

➢ დეფორმაციის მოდული E=190 კგ/სმ2;

➢ საანგარიშო წინაღობა R0=2.2 კგ/სმ2;

დამუშავების კატეგორია § 33ე- II კატ.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამშენებლო თვისებების მხრივ საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყოფა ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.), რომლიც შეესაბამება გამოყოფილ ფენას.

ს.გ.ე.–1 მეოთხეული ასაკის, ტექნოგენური გრუნტი- tQIV -(ფენა #1);

ს.გ.ე.–2 მეოთხეული ასაკის დელუვიურ-პროვლუვიურ გენეზისის -თიხნარი,

ძნელპლასტიკური-dpQIV -(ფენა #2);

სამშენებლო მოედანი მთლიანად აგებულია მეოთხეული ასაკის-(dpQIV,) დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის ძნელპალსტიკური თიხნარებით, რომლებიც ზედაპირზე გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის ტექნოგენური გრუნტებით-(tQIV);

❖ გრუნტის წყლები სამშენებლო მოედნის ფარგლებში და მის მიმდებარედ არ დაფიქსირებულა, ქანები სულ ცოტა 3,5 მ სიღრმემდე არ შეიცავს წყალს და პრაქტიკულად მშრალა, შესაბამისად მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორიაზე გრუნტის წყლები არანაირ ხელიშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენს;

❖ გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, გეომორფოლოგიური და გეოდინამიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, სამშენებლო მოედანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში, ხოლო საინჟინრო-გეოლოგიურ პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება I (მარტივ) სირთულის კატეგორიას;

❖ საკვლევ ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების გავრცელებაგამოვლინება არ ფიქსირდება, ტერიტორი მდგრადია და მომავალშიც არ არსებობს რაიმე წინაპირობა არსებული მდგრადობის დასარღვევად;

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების უახლოესი სქემის მიხედვით (პნ 01.01-09 ,,სეისმომედეგი მშენებლობა'') ქ.თბილისი განთავსებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში, ხოლო სეისმური თვისებების მიხედვით მასივის ამგები გრუნტები მიეკნკუთვნება II კატეგორიას. მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის სეისმურობად მიღებულ იქნეს 8 ბალი;

❖ უბანზე ქარის შესაძლო მაქსიმალური სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ შეადგენს 31 მ/წმ;

❖ სამშენებლო მოედნის ამგები გრუნტები – დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-2-82-ის ცხრილის თანახმად, სგე#1-ტექნოგენური გრუნტი-tQIV და სგე#2- თიხნარი (ძნელპლასტიკური)-dpQIV – მიეკუთვნებიან II კატეგორიას;

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №151, საკადასტრო კოდით - 01.72.14.013.896 საპროექტო დოკუმენტაცია, სადაც განხილულ იქნა გეოლოგიური მონაცემები შპს „ჯი-თი მოტორსის“ ინჟინერ-გეოლოგი ზ. ჭყონიას მიერ, შესრულებულია ჯეროვნად და აკმაყოფილებს წარმოდგენილ მდგომარეობას, რომელიც შესრულებულია ადგილზე აღებული სინჯების საფუძველზე. აქედან გამომდინარე ჩატარებული კვლევის შედეგად წარმოდგენილ გეოლოგიურ სამუშაოებს ცალსახად ენიჭება დადებითი შეფასება.

შპს არქიტექტურა და ექსპერტიზა A&E 405387763 ARCHITECTURE AND EXAMINATION LLC

გეოლოგი ა. ბაბაკიშვილი

შპს,,ჯი-თი მოტორსი”

დირექტორი: თემურ უსტიაშვილი

ხელმოწერა----------

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა



ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანში #151 შპს,,ჯი-თი მოტორსის” საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (ს.კ 01.72.14.013.896) ავტოსამრეცხაო კომპლექსის მშენებლობის მიზნით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების შესახებ

თბილისი
2021 წელი

სარჩევი

თავი.1 ზოგადი ნაწილი 3
1.1 შესავალი 4
1.2 მდებარეობა და საზღვრები 5
1.3 მეტეოროლოგიური მონაცემები 6
1.4 ზედაპირული წყლები 8
1.5 გეომორფოლოგია 8
1.6 გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა 9
1.7 სეისმური პირობები 11
1.8 ჰიდროგეოლოგიური პირობები 11
თავი.2 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები 14
2.1 თანამედროვე გეოდინამიკური პროცესები 14
2.2 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები 14
დასკვნები და რეკომენდაციები 18
გამოყენებული ლიტერატურა 20
დანართი 22

ტექნიკური დავალება
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

დამკვეთი: შპს,,ჯი-თი მოტორსი''

გამოკვლევის მიზანი: ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანში #151 ავტოსამრეცხაო კომპლექსის მშენებლობა

ობიექტის დასახელება: ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანში #151 შპს,,ჯი-თი მოტორსის'' საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (ს.კ 01.72.14.013.896) ავტოსამრეცხაო კომპლექსის მშენებლობის პროექტი;

ობიექტის მდებარეობა: ქ.თბილისი

დაპროექტების სტადია: მუშა პროექტი;

ობიექტების ტექნიკური დახასიათება:

- **სამშენებლო მოედნის ფართობი გეგმაში:** 1765 მ²;
- **სართულიანობა:** ორსართულიანი;
- **სარდაფი:** სარდაფის გარეშე;
- **ნაგებობის ტიპი:** კარკასული შენობა;
- **საძირკვლის სავარაუდო ტიპი:** დამოკიდებულია საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე;

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში წარმოდგენილი იქნას აკინძული, 2 ეკზემპლარად და ელექტრონული ვერსია.

1.1 შესავალი

შპს,,ჯი თი მოტორსი''-ს დაკვეთით ინჟინერ-გეოლოგის ზურაბ ჭყონიას მიერ ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანში #151 შპს,,ჯი-თი მოტორსის'' საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (ს.კ 01.72.14.013.896) ავტოსამრეცხაო კომპლექსის მშენებლობის პროექტის გეოლოგიური ნაწილის დასაბუთებისათვის.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა მიზნად ისახავდა საპროექტო ავტოსამრეცხაო კომპლექსის ქვეშ მდებარე ფუძე-გრუნტების ლითოლოგიური ჭრილის დადგენას, მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლას, ნაგებობების დაფუძნების, და ბუნებრივი პირობების გაშუქებას.

ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით და შენობის დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: დეტალურად დათვალიერებულია ავტოსამრეცხაოს კომპლექსისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი და მიმდებარე ტერიტორია, გრუნტების ლითოლოგიური ჭრილის და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების დასადგენად საკვანძო ადგილებში მექანიზირებული მეთოდით, ჰიდრავლიკური ექსკავატორი JCB-ის გამოყენებით ,,კონვერტისებურად'' გაყვანილი იქნა ხუთი სამთო გამონამუშევარი (შურფი), საერთო სიღრმით გრუნტების 20.0 მეტრი.

სამთო გამუნამუშევრებიდან აღებული იქნა გრუნტის ორი ნიმუში, რომელთა სამშენებლო თვისებების შესწავლა ჩატარდა, როგორც ადგილზე ისე აკრედიტირებულ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. სამუშაოების დამთავრების შემდეგ ყველა სამთო გამონამუშევარი ამოივსო ამოღებული მასალით.

გეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემული, შპს,,ნიუ მაქს''-ის მიერ 2020 წლის იანვარში. WGS-84 კოორდინატთა სისტემის UTM პროექციაში შედგენილი 1:500 ტოპოგრაფიული გეგმების მიხედვით. გარდა ამისა გამოყენებული იყო ქალაქის და სახელმწიფოს 1:25000 1:50 000 მასშტაბის რუკები.

უშუალოდ მოედანზე ადრე საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები სამოქალაქო მშენებლობისათვის არ ჩატარებულა, ხოლო ხოლო მიმდებარედ ჩატარებული ასეთი ხასიათის კვლევების მასალები ვერ იქნა მოკვლეული.

საველე სამუშაოების და ფონდური მონაცემების საფუძველზე შედგენილია წინამდებარე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, რომელც ემყარება საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლი წესები და ნორმები) მოთხოვნების გათვალისწინებით - ს.ნ. და წ.1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. 1.-პნ 02.01-08, 2. 2.02.01-83 (შენობა ნაგებობათა ფუძეები); ს.ნ. და წ. პნ 01.01-09 (სეისმომედეგი მშენებლობა) და პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია); სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები); ს.ნ. და წ. 1.02.07-87 §1.19-ის მეორე შენიშვნის და §1.22-ის თანახმად გაცემული ტექნიკური დავალება.

საველე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, მოპოვებული მასალების კამერალური დამუშავება და საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის შედგენა მოხდა 2021 წლის იანვარში.

1.2 მდებარეობა და საზღვრები

გამოკვლეული ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილოსის ჩრდილოეთით, დიდ დიღომში, დ.აღმაშენებლის ხეივანის #151-ში. ნაკვეთი გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, რომელიც ირგვლივ შემოსაზღვრულია სხვადასხვა სახის და დანიშნულების (კომერციული ფართები, ბენზინ გასამართი სადგური, მაღაზიები და ა.შ) შენობა-ნაგებობეით და მათთან მისასვლელი საგზაო კომუნიკაციებით.



საკვლვი ტერიტორიის სახელმწიფო რეგისტრაციის საკადასტრო კოდია **01.72.14.013.896**, ხოლო სამშენებლო მოედნის ცენტრის კოორდინატები (WGS-84) ადგილმდებარეობის განსაზღვრის გლობალური სისტემით (GPS) შემდეგია - X=481010.00 და Y=4627022.00 აბსოლუტური სიმაღლეებით 431 მეტრის ფარგლებში.

ტერიტორიაზე მოხვედრა, წლის ყველა დროს, უპრობლემოდ და ნებისმიერი სახის ავტოტრანსპორტით შესაძლებელია მოხვედრა, როგორც დავით აღმაშენებლის ხეივნიდან, ასევე დიდი დიღმის საგზაო სისტემების გამოყენებით.

1.3 მეტეოროლოგიური მონაცემები

კლიმატური თვალსაზრისით შესწავლილი ტერიტორია შედის შიდა და ქვემო ქართლის ბარის მშრალი სუბტროპიკული სტეპური ჰავის ზონიაში, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით (შ.ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ კლიმატოგრაფია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა ქ. თბილისი 1977წ.) და მიეკუთვნება სამშენებლო-კლიმატური დარაიონების _ IIIგ ქვერაიონს. კლიმატური

ელემენტები მოცემულია საქართველოს სამშენებლო კლიმატოლოგიური ნორმების - პნ 01.05-08 ქ. თბილისის _ “დიღმის” და ზოგიერთი სხვა მეტეოსადგურის მონაცემების მიხედვით.

ცხრილი-1. კლიმატური ქვერაიონის ძირითადი მახასიათებლები

იანვარი		აპრილი		ივლისი		ოქტომბერი	
S	Q	S	Q	S	Q	S	Q
22	49	74	135	125	195	53	92

ცხრილები-2. ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა

#	კლიმატური მახასიათებელი	თვეების მიხედვით												წლიური
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
1	ჰაერის საშ. თვიური და წლიური _ t°C	0.7	2.3	6.2	11.6	17.0	20.8	24.2	24.4	19.5	13.8	7.2	2.5	12.3
2	აბსოლუტური მინიმუმი - t°C	- 23												
3	აბსოლუტური მაქსიმუმი - t°C	40												
4	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი- t°C	-	-	-	-	-	-	-	30.2	-	-	-	-	-
5	ჰაერის ტემპერატურის საშუალო ამპლიტუდა t° C	7.8	8.4	9.5	10.9	11.3	11.8	11.6	11.6	11.0	10.2	8.9	7.8	-
6	ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %	73	69	66	62	64	60	56	57	64	73	77	76	66

ცხრლი-3. ნალექების რაოდენობა და თოვლის საფარი

ნალექების რაოდენობა წელიწადში,მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
560	**147**	**0.50**	**15**	-

ცხრილი-4. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები

W_0 5 წელიწადში ერთხელ, კპა	W_0 15 წელიწადში ერთხელ, კპა
0.38	0.60

ცხრილი-5 ქარის მიმართულებების და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში.

მიმართულება	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
%	**36**	**6**	**3**	**10**	**14**	**4**	**5**	**23**	**73**

ცხრილი-6. ქარის უდიდესი სიჩქარე მ/წმ, (1, 5, 10, 15, 20) წელიწადში ერთხელ,

ყოველწლიურად	5 წელიწადში	10 წელიწადში	15 წელიწადში	20 წელიწადში
21	26	29	30	31

1.4 ზედაპირული წყლები

ზედაპირული წყლების მუდმივი წყალსადინარი უშუალოდ გამოკვლეულ ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა. ნაკვეთის ფარგლებში ზედაპირული წყლები მხოლოდ ფრონტალური წვიმების ან უფრო იშვიათად თოვლის დნობის დროს ყალიბდება დროებითი ნაკადების სახით და მაშინვე ხდება ატმოსფერული ნალექების უმეტესი ნაწილის უშუალო ინფილტრაცია ტერიტორიის ამგებელ გრუნტებში, ხოლო დარჩენილ ნაკადებს გამოკვეთილი სადინარი არ გააჩნიათ და ფართობულ ხასიათს ატარებენ.

უშუალოდ ნაკვეთების ფარგლებში, დროებითი ნაკადების მიერ გამოწვეული ფართობული ან ხაზობრივი ეროზიის რაიმე სახის კვალი არ აღინიშნება. შესაბამისად ნაკვეთის ზედაპირს დატბორვა ან ფართომასშტაბიანი ეროზიული მორეცხვა არ ემუქრება.

1.5 გეომორფოლოგია

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლეული ტერიტორია მდებარეობს მსხვილი ოროგრაფიული ერთეულის - თბილისის ქვაბულის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ.მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და მოიცავს საკუთრივ დიღმის ველის აკუმულაციურ-ტერასირებული ზედაპირის სამხრეთ კიდეს, დიღმის და მუხათგვერდის სერებს შორის.

აქ თეიალეთის ქედის ჩრდილოეთი განშტოებების უკიდურეს დაბოლოებებზე და მდ. მტკვრის ხეობის საზღვარზე ჩამოყალიბდა ფართოდ გაშლილი დიღმის დიდი ეროზიული ჩადაბლება დანაწევრებული მდ.წორწორაანთ ხევით, მისივე შენაკადებით და მათზე უფრო წვრილი წყალსადინარებით. ზედა მეოთხეულ ასაკში, დიდი დიღმის ველების დასავლეთ ნაწილებში დაილექა დელუვიურ-პროლუვიური თიხნაროვანი გრუნტების საკმაოდ მძლავრი წყება. ამავდეოულად ამ ველების აღმოსავლეთ ნაწილში ილექებოდა მდ. მტკვრის მე-II ტერასული საფეხურის ალუვიური წარმონაქმნები. რელიეფის განვითარების შემდგომ ეტაპზე დაიწყო ზევით აღნიშნული ზედაპირის ცვლადი სიჩქარით დანაწევრება, რომელიც გრძელდება დღემდე. რელიეფი ეროზიულ-აკუმულაციურია, ზედნადები ანტროპოგენული ფორმებით. ყველა მათგანი გამოკვეთილია ფართოდ და მასშტაბურად.

ნაკვეთის პირვანდელი ბუნებრივი იერსახე და მის გარშემო მდებარე ტერიტორია მთლიანად შეცვლილია ანთროპოგენული რელიეფის ფორმებით. აქ ზედაპირი, ათეული წლების განმავლობაში, სრულად იყო ათვისებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, რომელიც დღეისათვის უკვე ქალაქის ფარგლებშია.

მთლიანობაში ასათვისებლად განკუთვნილ ნაკვეთზე და მის მიმდებარედ თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების მიერ რელიეფის ფორმების ფართომასშტაბიანი შეცვლა ან ახლების ჩამოყალიბება არ აღინიშნება, უბანი გამოირჩევა მდგრადობის საკმარისი ხარისხით.

1.6 გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (ე. გამყრელიძე 2000წ.) საკვლევი ტერიტორია მოქცეულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთი ზონის უკიდურეს ჩრდილო პერიფერიაზე და მიეკუთვნება დიღომი-სართიჭალის ქვეზონას. იგი ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია ამიერკავკასიის მთათაშუა არის ქართლის მოლასური ქვეზონით. ამ ორ ზონას შორის საზღვარს წარმოადგენს მცხეთა-მამკოდა-ნორიო-ხაშმის მსხვილი ნაწევი. ნაწევის სიბრტყის

დაქანება ჩრდილოურია, დახრის კუთხე 60-70^0. ამ ნაწევის სამხრეთით აღინიშნება ნაოჭა სტრუქტურების მთელი სერია, სინკლინორიუმები, ბრაქი ანტიკლინებითა და ანტიკლინორიუმები, ბრაქი სინკლინებით.

ქ.თბილისის ქვაბულის და საკუთრივ დიდი დიღმის ფარგლებში, მთავარ ტექტონიკურ ერთეულს წარმოადგენს თითქმის განედურად მიმართული დიღმის სინკლინური ნაოჭი, რომელიც გეოლოგიურად აგებულია ქვედა მიოცენის – ე.წ,, საყარაულოს ჰორიზონტის'' (N^1_1sc) ნალექებით.

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს სიკლინის ღერძულ ნაწილთან ძლიერ ახლოს, სადაც ეს შრეებრივი ქანები თითქმის ჰორიზონტულია.

ნაკვეთის ფარგლებში აღნიშნული ნალექები ზედაპირზე არ გამოდიან და მთლიანად გადაფარული არიან მეოთხეული ასაკის დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის ნალექების საკმაოდ მძლავრი წყებით.



საკვლევ ტერიტორიაზე და მთლიანად დიღმის ველზე ძირითადი ქანები გადაფარულია ზედა მეოთხეული ასაკის დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის (dpQ_3) საფარი წარმონაქმნებით, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილნი არიან მოყვითალო ფერის სუსტად ტენიანი, თიხა-თიხნაროვანი და ქვიშნაროვანი გრუნტებით, წვრილი ღორღის და ხვინჭის ჩანართებით, რომლებიც თავის მხრივ ზედაპირზე გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის თანამედროვე ტექნოგენური (ნაყარი) გრუნტებით (tQ_{IV}).

1.7 სეისმური პირობები

საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით (სამშენებლო ნორმების და წესები - "სეისმომედეგი მშენებლობა" პნ 01.01-09)- ქ.თბილისი მოქცეულია (MSK64) 8 ბალიან სეისმურ ზონაში, ხოლო სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი (A) - 0.17 შეადგენს.



1.8 ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიძე 1970წ) მოქცეულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის, თბილისის წყალწნევიანი

სისტემის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების ჰიდროგეოლოგიურ რაიონში.

საკვლევ უბანზე და მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში გამოიყოფა ორი ძირითადი ჰიდროგეოლოგიური ერთეული:

- შუა და ზედა ოლიგოცენის და ნეოგენური ასაკის ვულკანოგენური დანალექი ქანების წყალშემცველი კომპლექსი;

- მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექების წყალშემცველი კომპლექსი.

ქვემოთ ვიძლევით ამ კომპლექსის დახასითებას ცალ-ცალკე:

შუა და ზედა ოლიგოცენისა და ნეოგენური ასაკის წარმონაქმნებში გრუნტის წყლები ძირითადად ნაპრალოვანი ტიპისაა. მათი ცირკულაციის სიღრმე დამოკიდებულია ძირითად ქანებში განვითარებული ნაპრალთა სისტემის სიღრმეზე და ხარისხზე. ნაპრალოვანი გრუნტის წყლების მინერალიზაცია მერყეობს 2,5 დან 8,2 გ/ლ. ყველა წყალი თითქმის სულფატურია, კათიონებიდან მონაწილეობას იღებენ Ca და Mg, იშვიათად Na. მინერალიზაციის პროცენტის მომატებასთან ერთად ფიქსირდება ნატრიუმის იონების ზრდა. ნალექები მცირე წყალშემცველობით ხასიათდებიან და წყლების ცირკულაცია ძირითადად ხდება ღრმა ნაპრალთა სისტემაში, აქედან გამომდინარე ვეყრდნობით ადრეულ წლებში გაყვანილ ჭაბურღილებში გახსნილი წყლის ჰორიზონტიდან აღებული სინჯების ლაბორატორიულ მონაცემებს.

წყლები ძირითადად სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანი, ქლორიდულ-ნატრიუმიან-კალციუმიანია. ნაპრალოვანი გრუნტის წყლების საერთო მინერალიზაცია მერყეობს 2-დან 5 გრ/ლ-მდე. თითქმის ყველა წყლები შეიცავენ გოგირწყალბადს, რომლებიც ცალკეულ ჭაბურღილებში 15 მგ/ლიტრამდე აღწევს. ზოგ ჭაბურღილებში აღინიშნება მეთანის აირების (CH_4) გამოყოფა.



თბილისის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზების ზონა

საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ თბილისის ტერიტორიაზე და მის გარეუბნებში ჩატარებული 20 მინერალური წყაროს ქიმიური ანალიზიდან ირკვევა, რომ წყაროები თავიანთი ქიმიური შედგენილობით და მინერალიზაციით, ერთმანეთისგან განსხვავებულია. გვხვდება სულფატურ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი, სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანი შემადგენლობის წყლები. მათი მინერალიზაცია მერყეობს 0,4 დან 0,8 გრ/ლიტრის ფარგლებში.

წყლის ტემპერატურა ყველა წყაროებში მერყეობს 11^0 დან 17^0C-მდე. მჟავე წყლები არ ფიქსირდება.

მეოთხეულ წარმონაქმნებში მიწისქვეშა წყლები, რომლებიც ფორმირდება ალუვიურ ნალექებში, განსხვავდებიან თავიანთი ქიმიური შედგენილობით, ხასიათდებიან ამაღლებული მინერალიზაციით და სულფატურ-ნატრიუმიან-მაგნიუმიან ტიპს განეკუთვნებიან. დებიტი მერყეობს 0,03 დან 1.0 ლ/წმ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყებს 0.4 დან 3.0 გრ/ლიტრის ფარგლებში. შედარებით დაბალი მინერალიზაციის 0.4 დან 1.0 გრ/ლიტრამდე წყლები, სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანია.

თავი.2 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

2.1 თანამედროვე გეოდინამიკური პროცესები

სარეკოგნოსცირო მარშრუტების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების მიერ ჩამოყალიბებული ან გართულებული რელიეფის ფორმები არ აღინიშნება. ტერიტორია გამოირჩევა მდგრადობის საკმარისი ხარისხით.

საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ტერიტორია მთლიანობაში საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ. და წ. 1.02.07.87-ის მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება I (მარტივი სირთულის) კატეგორიას.

საველე და ლაბორატორილი კვლევების საფუძველზე საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყო გრუნტების ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე), რომელიც გრაფიკულად წარმოდგენილია გრძივ და განივ საინჟინრო-გეოლოგიურ ჭრილებზე.

2.2 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

გამოკვლეული ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანის #151-ში, ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია მეოთხეული ასაკის დეუვიურ-პროლუვიური (dpQ_{IV}) გენეზისი ნალექებით, რომლებიც ზედაპირზე გადაფარული ცვალებადი სიმძლავრის ტექნოგენური გრუნტით (tQ_{IV}).

სავალე მასალების, ლაბორატორიული კვლევების და საფონდო მონაცემების განზოგადებით საკვლევ უბანზე გამოიყოფა ორი ფენა – **ფენა #1**- ტექნოგენური გრუნტი - **tQ_{IV}**, **ფენა #2**-ძნელპალსტიკური თიხნარი-**dpQ_{IV}**, რომელთა დახასიათებაც მოცემულია ქვემოთ:

ფენა #-1 კენჭოვანი გრუნტი, ქვიშის შემავსებლით (ნაყარი), ტექნოგენური გრუნტი – tQ_{IV}. ზედაპირიდან პირველი შრეა ჭრილში, რომლითაც აგებულია

გამოკვლეული უაბნის ზედაპირი და გვერდულები პრაქტიკულად მთელ სიგრძეზე. ლითოლოგიურად ნაყარი გრუნტი წარმოდგენილია ღორღის, ხვინჭის, ხრეშის და ქვიშოვანი შემავსებლით. ყრილის ფენის სიმძლავრე ნაკვეთის ზედაპირზე საშუალოდ შეადგენს 0 – 0.90 მეტრს.

ზდაპირის ამგები, ტექნოგენური გრუნტი სხვადასხვა შეფერილობისაა - მუქი ნაცრისფრი, მოშავო, ყავისფერი, ან ამ ფერებში აჭრელებული. იგი გამოირჩევა ცვლადი ტენიანობით, მაგრამ უმეტესად მცირედ ტენიანია.

როგორც საველე, ისე ლაბორატორიულ პირობებში განისაზღვრა ტექნოგენური გრუნტის სიმკვრივე და გრანულომეტრიული შედგენილობა, შურფებიდან ამოღებული ზვინული სინჯების მიხედვით.

ფენის საშუალო სიმკვრივემ შეადგინა ρ=2.0 გრ/მ³. ხოლო გაცხავებით მიღებული გრანულომეტრიული შედგენილობის შედეგები მოცემულია **ცხრილი #7.**

ცხრილი # 7

შურფის # და ზვინული სინჯის აღების სიღრმე, მ		ფრაქციის ზომა მმ.				
		<40	40-20	20-10	10-2	< 2
		პროცენტული რაოდენობა				
შურფი № 1	0-95 მ	16	18	27	15	24
შურფი № 2	0-0.90 მ	15	19	26	16	24
შურფი № 3	0-0.90 მ	14	20	27	13	26
შურფი № 4	0-0.95 მ	13	21	26	15	25
შურფი № 5	0-0.95 მ	14	20	29	16	21

არსებულ გზაზე და მის გვერდულებზე მრავალწლიური დინამიური დატვირთვის პირობებში ფენის სიმკვრივედ ρ (მოცულობით წონა) შეიძლება მიღებული იქნას 2.0 გრ/სმ³;

- მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე-ρ_s-2.5 გრ/სმ³;
- ჩონჩხის სიმკვრივე-ρ_d-1.90 გრ/სმ³;
- ფორიანობა - n- 26.4 %;

- ფორიანობის კოეფიციენტი - e – 0.359;
- ბუნებრივი ტენიანობა-6.9 %;
- ტენიანობის ხარისხი- Sr -0.496;
- შინაგანი ხახუნის კუთხის ნორმატიული მნიშვნელობა φ=28 ^{0};
- შეჭიდულობის ნორმატიული მნიშვნელობა C= 0,04 კგძ/სმ^{2};
- საანგარიშო წინაღობა R$_{o}$-2.0 კგძ/სმ^{2};

დამუშავების კატეგორია § 6 ა - II კატ.

ფენა-#2-თიხნარი ძნელპლასტიკური (dpQ$_{IV}$), მოყვითალო და მოყვითალო ღია ყავისფერი ზედაპირიდან იგი მეორე შრეა და გახსნილია ყველა სამთო გამონამუშევარით 0,90 მ-დან 4,0 მ-მდე.

თიხნარი მოყვითალო და მოყვითალო ღია ყავისფერია, შემკვრივებული, ერთგვაროვანი, მთლიანობაში სუსტად ტენიანი, მაგრამ ყოველთვის მყარი, 4.5 მ-მდე სხვადასხვა შეფერილობის წვრილი ჩანართებით 5-10 %-ის ფარგლებში.

თიხნარი დასინჯულია ორი მონოლითური სინჯით, რომელთა ლაბორატორიული შესწავლის შერდეგების გასაშუალებული (ნორმატიული) მნიშვნელობები მოცემულია #8 ცხრილში, ხოლო მთლიანად დანართში.

ცხრილი №8

#	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დახასიათება	ინდექსი	განზ.ერთ	თიხნარი
1.	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^{3}	1.85
2	ჩონჩხის სიმკვრივე	ρ$_{d}$	_"_	1.50
3.	მყარი ნაწილაკების სიმკვრივე	ρ$_{s}$	_"_	2.72
4.	ფორიანობა	n	%	45
5.	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ.ნაწ.	0.845
6.	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	15
7.	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W$_{L}$	ერთ.ნაწ.	0,33
8.	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	W$_{P}$	_"_	0.20

9.	პლასტიკურობის რიცხვი	I_P	_~_	0,14
10.	კონსისტენციის მაჩვენებელი	I_L	_~_	0,01
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	_~_	0.45

ს.ნ. და წ. 2.02.01-83 პუნქტი 2.16-ის თანახმად II და III კლასის ნაგებობის ფუძე-საძირკველების გაანგარიშებისათვის დასაშვებია გრუნტის სიმტკიცითი და დეფორმაციული მახასიათებლის ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების განსაზღვრა მათი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით:

- შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi=25^0$;
- შეჭიდულობა C=0.13 კგძ/სმ^2;
- დეფორმაციის მოდული E=190 კგ/სმ^2;
- საანგარიშო წინაღობა R_0=2.2 კგ/სმ^2;

დამუშავების კატეგორია § 33ე- II კატ.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამშენებლო თვისებების მხრივ საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყოფა ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.), რომლიც შეესაბამება გამოყოფილ ფენას.

ს.გ.ე.–1 მეოთხეული ასაკის, ტექნოგენური გრუნტი- **tQ$_{IV}$** -(**ფენა #1**);

ს.გ.ე.–2 მეოთხეული ასაკის დელუვიურ-პროვლუვიურ გენეზისის -თიხნარი, ძნელპლასტიკური-**dpQ$_{IV}$** -(**ფენა #2**);

დასკვნები და რეკომენდაციები

❖ გამოკვლეული ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისში, დ.აღმაშენებელის ხეივანი #151-ში, აბსოლუტური ნიშნულით 430-431 მეტრი;

❖ სამშენებლო მოედანი მთლიანად აგებულია მეოთხეული ასაკის-(dpQ_{IV},) დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის ძნელპალსტიკური თიხნარებით, რომლებიც ზედაპირზე გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის ტექნოგენური გრუნტებით-(tQ_{IV});

❖ გრუნტის წყლები სამშენებლო მოედნის ფარგლებში და მის მიმდებარედ არ დაფიქსირებულა, ქანები სულ ცოტა 3,5 მ სიღრმემდე არ შეიცავს წყალს და პრაქტიკულად მშრალა, შესაბამისად მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორიაზე გრუნტის წყლები არანაირ ხელიშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენს;

❖ გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, გეომორფოლოგიური და გეოდინამიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, სამშენებლო მოედანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში, ხოლო საინჟინრო-გეოლოგიურ პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის) მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება I (მარტივ) სირთულის კატეგორიას;

❖ საკვლევ ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების გავრცელება-გამოვლინება არ ფიქსირდება, ტერიტორი მდგრადია და მომავალშიც არ არსებობს რაიმე წინაპირობა არსებული მდგრადობის დასარღვავად;

❖ ფუძე-საძირკვლების გაანგარიშებისათვის გრუნტების საანგარიშო მახასიათებლები მოცემულია **#9 ცხრილში.**

ცხრილი #9

საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი ##	მახასიათებლები				
	ρ	R_0	E	φ	C
	გ/სმ³	კგძ/სმ²	კგძ/სმ²	გრადუსი	კგძ/სმ²
სგე - (ფენა#) 1 -ტექნოგენური გრუნტი tQ_{IV}	2.0	2.0	-	28	0,04
სგე - (ფენა #) 2 თიხნარი (ძნელპალსტიკური)-dpQ_{IV}	1.85	2.2	190	25	0.13

❖ საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების უახლოესი სქემის მიხედვით (პნ 01.01-09 ,,სეისმომედეგი მშენებლობა'') ქ.თბილისი განთავსებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში, ხოლო სეისმური თვისებების მიხედვით მასივის ამგები გრუნტები მიეკნკუთვნება II კატეგორიას. მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის სეისმურობად მიღებულ იქნეს 8 ბალი;

❖ უბანზე ქარის შესაძლო მაქსიმალური სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ შეადგენს 31 მ/წმ;

❖ სამშენებლო მოედნის ამგები გრუნტები – დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-2-82-ის ცხრილის თანახმად, სგე#1-ტექნოგენური გრუნტი-tQ_{IV} და სგე#2-თიხნარი (ძნელპლასტიკური)-dpQ_{IV} – მიეკუთვნებიან II კატეგორიას;

შემსრულებელი:

გეოლოგიის აკადემიური დოქტორი

ინჟინერ-გეოლოგი: ზ. ჭყონია **ზურაბ ჭყონია**

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტო ,, ქ. თბილისში მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური (IV-V უბნები), ჰიდროლოგიური და გრუნტის (ნიადაგის) და წყლის შესაძლო დაბინძურების (ექვსივე უბანი) შესაფასებელი კვლევების ანგარიში''. 2012 წ.
- Асламазова С.Г., Калинина Е.В. 1958г. Отчет Тбилисской гидрогеологической партии по проведенной в 1952г комплексной геолого-гидрогеологической съемке листа К – 38 – 78 – г. Фонды УГ `Грузгеология~.
- Харатишвили Л.А. и др. 1959 Отчет Тбилисской гидрогеологической съемочной партии по работам 1958-1959г.г. Фонды УГ `Грузгеология~.
- Церетели Д.В. Труд по изучении постплиоценных оброзивании Грузии - изд. `Мецниереба~ г. Тбилиси 1966г.
- Папава Д.Ю., Девдариани Е.И. 1971 Отчет Триалетской структурно-съемочной геологической партии на газ по проведенной 1968-70г.г. ''Результаты геолого-съемочных работ и структурного бурения в пределах восточного погружения Аджаро-Триалетской складчатой системы''. Фонды УГ `Грузгеология~.
- Гидрогеология СССР. Том X . Грузинская ССР. изд. ''Недра''. Москва 1970г.
- Геоморфология Грузии. изд. ''Мецниереба'' г. Тбилиси 1971г.
- Отчет о результатах инженерно-геологических съемочных работ м-ба 1:25 000 и долине р. Куры (ниже г. Тбилиси) за 1977-1980г.г. г. Тбилиси 1981г.
- Джапаридзе Г. – Инженерная геология г. Тбилиси изд. '' Сабчота Сакартвело''г. Тбилиси, 1984г.
- სამშენებლო ნორმები და წესები. საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის СНиП 1.02.07-87. ოფიციალური გამოცემ.ა მოსკოვი. 1988 წ.
- სამშენებლო ნორმები და წესები. შენობა-ნაგებობების ფუძეები СНиП 2.02.01-85. ოფიციალური გამოცემა. მოსკოვი. 1985 წ.

- სამშენებლო ნორმები და წესები. მიწის სამუშაოები. #1 კრებული СНиП IV-5-82. მოსკოვი. 1982 წ.
- სახელმწიფო სტანდარტი. გრუნტები. კლასიფიკაცია. ГОСТ 25200-82. მოსკოვი. 1982 წ.
- სამშენებლო ნორმები და წესები. „შენობა-ნაგებობების ფუძეები“. პნ 02.01-08. თბილისი. 2008 წ.
- სამშენებლო ნორმები და წესები. „სეისმომედეგი მშენებლობა“. პნ 01.01-09. თბილისი. 2009 წ.
- სამშენებლო ნორმები და წესები. „სამშენებლო კლიმატოლოგია.“ პნ 01.05-08. თბილისი. 2008 წ.
- გეოინფორმაციული სისტემები GIS;
- ორგანიზაცია CENN-ის ანგარიში „კატასტროფული წყალმოვარდნების საფრთხე ქ. თბილისში“ 2019 წ.
- 1 : 25 000 და 1 : 50 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა;
- 1 : 500 000 მასშტაბის საქართველოს ნიადაგების რუკა;
- 1: 600 000 მასშტაბის საქართველოს ლანდშაფტების რუკა;
- საქართველოს ეროვნული ატლასი.

დანართი

1. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები (3 ფურც.);
2. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი (2 ფურც.);

შურფის ჭრილები

მასშტაბი - 1:50

შურფი №1



შურფი №2



პირობითი ნიშნები



ტექნოგენური გრუნტი-tQ_{IV}



თიხნარი ძნელპლასტიკური-dpQ_{IV}

■ ნიმუშის აღების ადგილი

ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანში #151 შპს,,ჯი-თი მოტორსის'' (ს.კ 01.72.14.013.896) ავტოსამრეცხაო კომპლექსის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა			სტადია
			მ.პ
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	შურცელი
გეოლოგი		ჭყონია	1
			შურც.რაოდ.
			3

შურფის ჭრილები

მასშტაბი - 1:50

შურფი №3



შურფი №4



პირობითი ნიშნები

① ტექნოგენური გრუნტი-tQ_{IV}

② თიხნარი ძნელპლასტიკური-dpQ_{IV}

■ ნიმუშის აღების ადგილი

ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანში #151 შპს,,ჯი-თი მოტორსის'' (ს.კ 01.72.14.013.896) ავტოსამრეცხაო კომპლექსის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა			სტადია
			მ.პ
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	შურცელი
გეოლოგი		ჭყონია	2
			შურც.რაოდ.
			3

შურფის ჭრილები

მასშტაბი - 1:50

შურფი №5

X- 481010.00Y- 4627022.00 h- 430.60



პირობითი ნიშნები

1 ტექნოგენური გრუნტი-tQ_{IV}

2 თიხნარი ძნელპლასტიკური-dpQ_{IV}

■ ნიმუშის აღების ადგილი

ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანში #151 შპს,,ჯი-თი მოტორსის'' (ს.კ 01.72.14.013.896) ავტოსამრეცხაო კომპლექსის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა			სტადია
			მ.პ
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	შურცელი
გეოლოგი		ჭყონია	3
			შურც.რაოდ.
			3

საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი

მასშტაბი: ჰორიზონტალური - 1:500
ვერტიკალური - 1:100
ჭრილი I-I



გამონამუშევარი №	შურფი: №1	შურფი: №5	შურფი: №3
აბს. ნიშნული, მ	431.50	430.60	430.00
მანძილი, მ		24.00	24.00

პირობითი ნიშნები

1 ტექნოგენური გრუნტი-tQ_{IV}

2 თიხნარი ძნელპლასტიკური-dpQ_{IV}

ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანში #151 შპს,,ჯი-თი მოტორსის'' (ს.კ 01.72.14.013.896) ავტოსამრეცხაო კომპლექსის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა			სტადია
			მ.ჰ
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ფურცელი
გეოლოგი		ჭყონია	1
			ფურც.რაოდ.
			2

საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი

მასშტაბი: ჰორიზონტალური - 1:500
ვერტიკალური - 1:100
ჭრილი II-II



გამონამუშევარი №	შურფი: №2	შურფი: №5	შურფი: №4
აბს. ნიშნული, მ	431.60	430.60	430.60
მანძილი, მ	21.00	21.00	

პირობითი ნიშნები

1 ტექნოგენური გრუნტი-tQ_{IV}

2 თიხნარი ძნელპლასტიკური-dpQ_{IV}

ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანში #151 შპს,,ჯი-თი მოტორსის'' (ს.კ 01.72.14.013.896) ავტოსამრეცხაო კომპლექსის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა			სტადია
			მ.პ
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	შურცელი
გეოლოგი		ჭყონია	2
			შურც.რაოდ.
			2

საექსპერტო კვლევითი ჯგუფი

შ.პ.ს „ლაშამაქსი”



ქ.თბილისი. მიცკევიჩის 27ბ მე-4 სართული
ტ 599 51 86 15
lashamax@gmail.com

2021 წელი

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #151 (საკ. კოდით - 01.72.14.013.896) შპს ,,ჯი-თი მოტორსი“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით ავტო სამრეცხაოს პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.

შინაარსი

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #151 (საკ. კოდით - 01.72.14.013.896) შემოწმება ჩაუტარდა შპს ,,ჯი-თი მოტორსი“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შედგენილ ნახაზებზე დამუშვებულ კონსტრუქციულ მუშა ნახაზებს. პროექტის მიხედვით დაგეგმარებულია არსებულ მიწის ნაკვეთზე ავტოსამრეცხაოს მშენებლობა, გეოლოგიური მონაცემებზე დაყრდნობით შენობის საძირკველი განისაზღვრება რკინა-ბეტონის წერტილოვან ბალიშით. საექსპერტო შენობა ტეხილის ფორმისაა და წარმოადგეს ორსართულიან და ერთსართულიან კარკასული ტიპის ნაგებობას. შენობის მაქსიმალური გაბარიტული ზომები შეადგენს 14,60 X 11,90 მ.

სართულის სიმაღლეებია 3,50; 3,75; 3,80; 4,00 და 5,50 მ. მაქიმალური მალის სიგრძე 1 და 2 შენობაში 6,50მ-ია ხოლო მე-3 შენობაში 7 მ. შეადგენს.
სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.

გრუნტის გეოლოგიური კვლევის შედეგად დადგენილია რომ საკვლევი უბანი წარმოადგენს თიხნარ ნიადაგს, Ro=2,20 კგ./სმ2.

კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა

აღნიშნულ პროექტზე ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა, სადაც შესწავლილ იქნა ყველა ის კონსტრუქციული მახასიათებლები და საანგარიშო სქემა, რაც მოიცავს შენობის მნიშვნელოვან მზიდუნარიან დეტალებს. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის სქემა წარმოადგენილია შემდეგი სახით:

1. შენობის საძირკველი - რანდკოჭებით დაკავშირებული რკინა-ბეტონის წერტილოვანი საძირკველი, რომლის ბალიშის ზომებია: 110X110X50სმ.; 90X90X50 სმ.; 130X130X50 სმ.; 150X150X50 სმ.; პროექტის მიხედვით წერტილების ჩაღრმავება ძირითად გრუნტში ხდება 1,00 მ.-ით და შესაძლოა ეს სიღრმე დაკორექტირდეს ქვაბულის სამუშაოების პროცესში, ინჟინერ-გეოლოგის და კონსტრუქტორის რეკომენდაციით. საძირკვლის ქვეშ იყრება და იტკეპნება ბალასტის ფენა, სისქით 10 სმ. და ამის შემდეგ ეწყობა წერტილოვანი საძირკველი. წარმოდგენილი კონსტრუქციული პრეოქტი და მასში მოცემული სქემები დატვირთვებისა და თანაბარი გადანაწილებული ძალვების სწორი მუშაოების პრინციპით არის შედგენილი. სეისმო მედეგობის პირობის მიხედვით აღნიშნული კონსტრუქციული პროექტი მოქმედ სამშენებლო ნორმებთან მიმართებაში წარმოებულია სწორად, რასაც ვეთანხმებით და ვანიჭებთ დადებით შეფასებას.

ა) წერტილოვანი საძირკველი ოთხი ტიპის: 1500X1500X500მმ ; 1300X1300X500მმ; 1100X1100X500მმ; 900X900X500მმ;

ბ) რანდკოჭი 300X300 მმ ;

2. საანგარიშო სქემა: 1 და 2 შენობაზე მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასული ტიპისაა (სვეტები 300X300მმ), ხოლო მე-3 შენობა წარმოადგენს ლითონის კარკასს (სვეტები 200X200X4მმ).

3. რკინა-ბეტონის კოჭები (300X450მმ; 250X450მმ.); ლითონის კოჭები (შველერი #20,22,27 და ორტესი #18, 20)

4. გადახურვა გაანგარიშებულია ორმაგად არმირებული რკ./ბეტონის მონოლითური ფილებით (H= 180 მმ)

5. რკ./ბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია ბეტონი კლასით B25.

საპროექტო 1 და მე-2 შენობა კონსტრუქციული სქემის მიხედვით მონოლითური რკინებტონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით, ლითონის ჩანართებით, ხოლო მე-3 შენობა წარმოადგენს ლითონის კარკასს, დგარები და კოჭები ხისტი კვანძებით. შენობის მზიდი კონსტრუქციები დაპროექტებულია შენობის მზიდი ელემენტების სივრცული ანგარიშების შედეგების მიხედვით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია ავტოსამრეცხაოს მშენებლობა, რომლის კონსტრუქცია მონოლითური რკინაბეტონისა და ლითონის ჩარჩოს სახითაა გაანგარიშებული. საძირკვლების კონსტრუქციული სქემა საძირკვლის კოჭებით დაკავშირებული წერტილოვანი და მონოლითური საძირკვლებია, რომელიც გეოლოგიური მონაცემების მიხედვით არის დადგენილი. საანგარიშო გათვალებით გამოყენებულია A-I და A-III არამტურა.

საძირკვლის ქვეშ იყრება და იტკეპნება ბალასტის ფენა და ეწყობა წერტილოვანი საძირკვლები. წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტი და მასში მოცემული სქემები დატვირთვებისა და თანაბარ გადანაწილებული ძალვების სწორი მუშაობის პრინციპით არის შედგენილი. სეისმო მედეგობის პირობის მიხედვით აღნიშნული კონსტრუქციული პროექტი მოქმედ სამშენებლო ნორმატივებთან მიმართებაში წარმოებულია სწორად, რასაც ვეთანხმებით და ვანიჭებთ დადებით შეფასებას.

ჩატარებული ექსპერტიზის საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია გეოლოგიური მონაცემების და კონსტრუქციული სწორი საანგარიშო სქემის მიხედვით თანდართული მასალებით, რაც მოცემულია მუშა ნახაზებში და გათველბში. შესაბამისად წარმოდგენილი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შედგენილია და დამუშვებული სამშენებლო ნორმატივებისა და წესების ფარგლებში.

შენობის მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულია Lira-SAPR 2018R2 პროგრამული კომპლექსის მეშვეობით (ლიც. 3289) სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე, გაანგარიშებაში განხილულია შემდეგი დატვირთვები:

1. სტატიკური მოდმივი
2. სტატიკური ხანმოკლე
3. სტატიკური ხანგძლივი
4. სეისმური X მიმართულება (0,17 g აჩქარება)
5. სეისმური Y მიმართულება
6. სეისმური 45^0
7. სეისმური 135^0
8. ქარი სტატიკური X მიმართულება
9. ქარი სტატიკური Y მიმართულება
10. ქარი პულსაციური X
11. ქარი პულსაციური Y
12. აქსელეროგრამა 1, X მიმართუელბა
13. აქსელეროგრამა 1, Y მიმართუელბა
14. აქსელეროგრამა 2, X მიმართუელბა
15. აქსელეროგრამა 2, Y მიმართუელბა
16. აქსელეროგრამა 3, X მიმართუელბა
17. აქსელეროგრამა 3, Y მიმართუელბა
18. აქსელეროგრამა 4, X მიმართუელბა

19, აქსელეროგრამა 4, Y მიმართულება
20. აქსელეროგრამა 5, X მიმართულება
21. აქსელეროგრამა 5, Y მიმართულება
22. აქსელეროგრამა 6, X მიმართულება
23. აქსელეროგრამა 6, Y მიმართულება
24. აქსელეროგრამა 7, X მიმართულება
25. აქსელეროგრამა 7, Y მიმართულება

გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებებით-II. საანგარიშო სეისმურობა 8 ბალს შეადგენს. (EMS-98 სკალით) გათვალისწინებულია საკუთარი რხევის 36 ფორამ. ბეტონის კლასი B-25. არმატურა A-I, A-III. შესაბამისად წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შედგენილია და დამუშავებული სამშენებლო ნორმატივებისა და წესების ფარგლებში.

დასკვნითი ნაწილი:

ჩვენს მიერ შესწავლილი ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #151 (საკ. კოდით - 01.72.14.013.896) არსებულ მიწის ნაკვეთზე შედგენილი ავტოსამრეცხაოს საპროექტო დოკუმენტაცია და მასში მოცემული კონსტრუქციული ნახაზები შესრულებულია სამშენებლო ნორმატივების, გეოლოგიური მონაცემებზე დაგემგარებული კონსტრუქციული ნაწილის გათვალისწინებით, რომელიც სავსებით დამაკმაყოფილებელია და საიმედო დღეისთვის მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და წესებთან მიმართებაში. კონსტრუქციული ელემენტების სქემა და დეფორმაციების წარმოქმნის პირობა, დაცულია სეისმომედეგობის ნორმები, რის საფუძველზეც მოცემული დოკუმენტაცია სრულიად აკმაყოფილებს დღეისთვის მოქმედ სამშენებლო ნომრებსა და წესებს.

კონსტრუქციების მაგისტრი: გ. ჟორჟოლიანი



Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის/ელ.მოწმობა
საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
გურამ
GURAM

გვარი / LAST NAME
ჟორჟოლიანი
ZHORZHOLIANI

მოქ. / CIT GEO

სქესი / SEX მამ / M

პირადი No / PERSONAL No
01030004570

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH
10.05.1977

მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY
25.07.2028

ბარათის No / CARD No
18IA94678

ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
25.07.2018

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2017
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE018IA94678101030004570<<<<
7705108M2807258GE0<<<<<<<<<<<8
ZHORZHOLIANI<<GURAM<<<<<<<<<<

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU №004267

This is to certify that Mr./Mrs. *Guram Zhorzholiani* in *the year 2001* completed a full Master's course of the *Georgian Technical University* majoring in *Industrial and Civil Engineering*

By resolution of the State Examination Board, dated *February 23 2001 Mr. Guram Zhorzholiani* is conferred the degree of Master of *Engineering*

Rector

Chairman of the State Examination Board

Dean

City *Tbilisi* *February 4 2002*

Registration № *0426* Secretary *Gvasalia*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ №004267

მიეცა *გურამ ნიკოს ძე ჟორჟოლიანს* მასზედ, რომ მან *2001* წელს დაამთავრა *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*

მაგისტრატურის სრული კურსი, სპეციალობით *სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა*

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *2001* წლის *23 თებერვლის* გადაწყვეტილებით *გურამ ნიკოს ძე ჟორჟოლიანს* მიენიჭა მაგისტრის ხარისხი

რექტორი

ბ.ა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი *თბილისი 4 თებერვალი, 2002 წელი*

სარეგისტრაციო № *0426* მდივანი

ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანში №151 შპს,,ჯი-თი მოტორსის''
საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (ს.კ 01.72.14.013.896)
ავტოსამრეცხაო კომპლექსი

(კონსტრუქციული ნაწილი)

2021

განმარტებითი ბარათი

დაპროექტებული ავტოსამრეცხაო კომპლექსი მდებარეობს ქ. თბილისში;

ავტოსამრეცხაო კომპლექსი შედგება რამდენიმე შენობისაგან, ერთსართულიანი და ორსართულიანი შენობები;

შენობები ტეხილი ფორმისაა, გეგმაში 38.64X6.86 და 34.5X18.0მ;

